საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო

ქ. თბილისი № 1/120 " 23 " ივნისი 2021 წ.

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

„ზოგიერთი მოსამართლისათვის საცხოვრებელი ბინის დაქირავებისათვის თანხის გამოყოფის შესახებ" საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2020 წლის 13 მარტის №1/26 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

თბილისის საქალაქო სასამართლოს მოსამართლე ნანა შამათავამ, ბათუმის საქალაქო სასამართლოს მოსამართლეებმა ლევან ყოლბაიამ და კოტე ჭილაიამ, ახალციხის რაიონული სასამართლოს მაგისტრატმა მოსამართლეებმა მაია ჯავახიშვილმა და გიორგი ლობჟანიძემ, ოზურგეთის რაიონული სასამართლოს მოსამართლე თორნიკე კაპანაძემ და ფოთის საქალაქო სასამართლოს მოსამართლე გიორგი თუნაურმა 2021 წლის 18 და 23 ივნისს წერილობით აცნობეს საქართველოს იუსტიციის უმაღლეს საბჭოს, რომ სამოსამართლო უფლებამოსილების განხორციელების ადგილზე მათ არ აქვთ საცხოვრებელი ბინა. აღნიშნულის გათვალისწინებით:

1. „ზოგიერთი მოსამართლისათვის საცხოვრებელი ბინის დაქირავებისათვის თანხის გამოყოფის შესახებ" საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2020 წლის 13 მარტის №1/26 განკარგულების პირველ მუხლში შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება:

ა) პირველ პუნქტს დაემატოს შემდეგი შინაარსის „ზ" ქვეპუნქტი:
„ზ) თბილისის საქალაქო სასამართლოს მოსამართლე ნანა შამათავას.";

ბ) მე-3 პუნქტის „გ" და „დ" ქვეპუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:
„გ) ბათუმის საქალაქო სასამართლოს მოსამართლე ლევან ყოლბაიას;
დ) ბათუმის საქალაქო სასამართლოს მოსამართლე კოტე ჭილაიას.";

გ) მე-9 პუნქტის „ა" ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:
„ა) ოზურგეთის რაიონული სასამართლოს მოსამართლე თორნიკე კაპანაძეს;";

დ) განკარგულებას დაემატოს შემდეგი შინაარსის მე-13 და მე-14 პუნქტები:
„13. ახალციხის მუნიციპალიტეტში:
ა) ახალციხის რაიონული სასამართლოს მაგისტრატ მოსამართლეს ასპინძის მუნიციპალიტეტში გიორგი ლობჟანიძეს;
ბ) ახალციხის რაიონული სასამართლოს მაგისტრატ მოსამართლეს ბორჯომის მუნიციპალიტეტში მაია ჯავახიშვილს.

14. ფოთის მუნიციპალიტეტში:
ა) ფოთის საქალაქო სასამართლოს მოსამართლე გიორგი თუნაურს.“.

2. ეს განკარგულება ამოქმედდეს მიღებისთანავე.

ნიკოლოზ მარსაგიშვილი

საქართველოს იუსტიციის
უმაღლესი საბჭოს მდივანი